სლაიდი 1:

გამარჯობა, მე ვარ *(თქვენი სახელი და გვარი)* და *(თქვენი ორგანიზაცია)* ვმუშაობ. დღეს სახალისო და თან სერიოზულ თემაზე უნდა გესაუბროთ. ძალიან მიხარია, რომ თქვენს სკოლაში მომიწვიეთ. ვფიქრობ, ამ კლასში საკმაოდ გონიერი ბავშვები სწავლობთ და ამიტომ, თქვენც უნდა დამეხმაროთ და ერთად ვიპოვოთ პასუხები იმ კითხვებზე, რომლებზეც უფროსები ხშირად ვფიქრობთ.

მე ფინედუს დესპანი ვარ.

- **იცით რას ნიშნავს სიტყვა „დესპანი“?** *(ბავშვები პასუხობენ)*
- **და ფინედუ თუ გაგიგიათ?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ფინედუ ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი ფინანსური განათლების ვებგვერდია. მისი მიზანია ფინანსური განათლების საკითხებზე დააფიქროს რაც შეიძლება მეტი ადამიანი და მათ შორის, ბავშვებიც.

დღეს გესტუმრეთ, რათა მსოფლიოს ასიათასობით ბავშვთან ერთად ფულის გლობალური კვირეულს შევუერთდეთ და ვისაუბროთ ისეთ თემებზე, როგორებიცაა ფული, დაზოგვა და ფინანსური უსაფრთხოება.

სლაიდი 2:

ყოველდღიურ ცხოვრებაში ალბათ ყველას გაქვთ შეხება ფულთან: შესაძლებელია ზოგი მაღაზიაში ყიდულობთ ნივთებს, ვიღაცას დაბადების დღეზე მიუღია ფული საჩუქრად, ვიღაცას სახლიდან ჯიბის ფულს გატანენ, თქვენ შორის ისეთებიც იქნებით, ვინც ფულს ყულაბაში ან ბანკშიც კი აგროვებთ.

მართლაც, ფული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა ფულის გონივრულად გადანაწილებასა და დაცვასაც ცოდნა და დაფიქრება სჭირდება. შესაძლოა, გსმენიათ, თუ როგორ წუხან უფროსები იმის გამო, რომ დაუფიქრებლად დახარჯეს ან შემოეხარჯათ ფული ან პირიქით, იქნებ წარმატებული ისტორიებიც გაგიგიათ, როგორ მიაღწიეს ადამიანებმა საკუთარ მიზნებს, მას შემდეგ, რაც დაზოგეს ან ჭკვიანურად დაგეგმეს ფული.

ფინანსური განათლება სწორედ ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნას გულისხმობს და ადამიანებს გვეხმარება ჩვენი ფინანსების ისე გადანაწილებაში, რომ შევძლოთ დაზოგვა, ჩვენი მიზნების მიღწევა და ფინანსური სირთულეების თავიდან არიდება.

სლაიდი 3:

რადგან, დღეს ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე ანუ ფინანსებზე უნდა ვისაუბროთ, ჯერ მოდი მოკლედ ეროვნულ ბანკზე ვთქვათ.

- **გაგიგიათ რამე ეროვნულ ბანკზე ან რა კავშირი აქვს მას ფულთან, რომელიც შეიძლება ბევრ თქვენგანს ახლა ჯიბეშიც უდევს? (ბავშვები პასუხობენ)**

ეროვნულ ბანკს ბევრი ფუნქცია აქვს, მაგრამ დღეს მოგიყვებით სამ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციაზე:

ფუნქცია #1 - ეროვნული ბანკი საქართველოს ცენტრალური ბანკია და მის მთავარი მიზანი ქვეყანაში ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი ზრუნავს, რომ ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდა წინასწარ განსაზღვრული დონის შესაბამისი იყოს.

- **ხომ არ გსმენიათ, რა ტერმინით მოვიხსენიებთ ფასების ზრდას? (ბავშვები პასუხობენ)**

მართლაც, ქვეყანაში ფასების საერთო დონის ზრდას ინფლაციას ვეძახით. მისი არსებობა ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა საჭიროა, ის იყოს ზომიერი. ამ ეტაპზე, მაგალითად, ის წელიწადში 3%-ია. მაგალითად, თუ დღეს ნივთი ღირს 100 ლარი, ის ხვალ 200 და ზეგ 5 ლარი კი არ უნდა ღირდეს, არამედ ერთ წელიწადში დაახლოებით (აქ შეიძლება ვკითხოთ ბავშვებს, რამდენი გახდება 100 ლარი თუ 3%-ით გაიზრდება?) - 103 ლარის ფარგლებში.

ფუნქცია #2 - ეროვნული ბანკი ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს ქაღალდის ფულისა და მონეტების გამოშვების უფლება. ქაღალდის ფულს ბანკნოტებს უწოდებენ.

- **ხომ არ გსმენიათ, რა შემთხვევაში და სად შეგვიძლია გამოვცვალოთ დაზიანებული ბანკნოტები?**

ბანკნოტები და მონეტები გამოყენებისას შეიძლება მოძველდეს, დაზიანდეს, ამიტომ ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, ასეთი ფული მიმოქცევიდან, ანუ მოხმარებიდან ამოიღოს და გაანადგუროს. მათ სანაცვლოდ კი იმავე რაოდენობის ფული გამოუშვას.

თუ ბანკნოტი დაგვიზიანდება, მის გამოსაცვლელად შეგვიძლია ნებისმიერ ბანკს მივმართოთ. თუ ბანკნოტის 51% მაინც შენარჩუნებულია, ბანკი მას დაუზიანებელი ფულით შეგიცვლით.

ფუნქცია #3 - ეროვნული ბანკი ასევე გახლავთ ბანკების და სხვა ფინანსური ორგანიზაციების ზედამხედველი - ანუ, მარტივად, და სპორტული ტერმინებით რომ ვთქვათ - „მსაჯი.“

ეროვნული ბანკი სპეციალურ წესებს უდგენს ბანკებს და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი გამართულად და კეთილსინდისიერად მუშაობენ, დაახლოებით ისე, როგორც მაგალითად, ფეხბურთის მსაჯი აკეთებს საფეხბურთო მოედანზე. და როგორც მსაჯს შეუძლია მოთამაშე არაკეთილსინდისიერი თამაშისთვის დააჯარიმოს, ეროვნულ ბანკსაც შეუძლია ბანკებს არაკეთილსინდისიერი საქციელისთვის ჯარიმა ან სხვა სანქცია დაუწესოს. თუმცა, მსაჯის ფუნქცია დასჯა კი არა, კეთილსინდისიერი თამაშია, ამიტომაც ჯარიმებამდე საქმე ძალიან იშვიათად მიდის ხოლმე.

სლაიდი 4:

- **რა გსმენიათ კომერციული ბანკების შესახებ? რას საქმიანობს?** *(ბავშვები პასუხებენ).*

კომერციული ბანკი საფინანსო ორგანიზაციაა, რომელშიც შეგვიძლია შევინახოთ ჩვენი დანაზოგი ან მისგან ვისესხოთ თანხა. ბანკში ასევე ვიღებთ პლასტიკურ ბარათებს, ვიხდით წყლის, ინტერნეტის და სხვა გადასახადებს და ვრიცხავთ ფულს როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

მოდი უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ რა მომსახურება შეიძლება მივიღოთ მათგან და რითი განსხვავდება ის ეროვნული ანუ ცენტრალური ბანკისაგან.

- **ანგარიშის შესახებ თუ გსმენიათ? ვის შეუძლია მითხრას, რას გულისხმობს საბანკო ანგარიში და რატომ გვჭირდება?** *(ბავშვები პასუხებენ, პასუხებში ეხმარება და დამატებით განმარტებებს მიყვება პრეზენტატორიც).*

ანგარიშის გახსნა - კომერციულ ბანკში შეგვიძლია გავხსნათ ანგარიში, იმისთვის რომ ყოველდღიურად გამოსაყენებელი ფული ჩაგვერიცხოს ან ჩვენ თვითონ შევიტანოთ და ის ჯიბით კი არ ვატაროთ, არამედ უფრო დაცულად გვქონდეს შენახული. შესაძლებელია თქვენ უკვე გაქვთ

კიდეც ანგარიში ბანკში. იმისათვის რომ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გამოსაყენებლად ყოველდღე ბანკში არ ვიაროთ, ამ თანხაზე დისტანციური წვდომისათვის გვაქვს საბანკო ბარათები. ის ერთგვარი გასაღებია ანგარიშზე წვდომისათვის.

- **გაიხსენეთ, თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს თუ გაქვთ საბანკო ბარათი?** *(ბავშვებმა უპასუხონ ბავშვები სავარაუდოდ თანხმობით უპასუხებენ)*

ეს ნიშნავს, რომ თქვენ უკვე გაქვთ მიმდინარე საბანკო ანგარიშიც.

ბანკში გარდა ანგარიშისა და საბანკო ბარათებისა, შეგიძლიათ გახსნათ დეპოზიტი ანუ ანაბარი და აიღოთ სესხი.

დეპოზიტი/ანაბარი - თუ გაქვთ დეპოზიტი/ანაბარი ბანკში ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ბანკში გაქვთ ერთგვარი „ყულაბა“ ან უფრო ზუსტად პატარა სეიფი, რომელშიც თანხას უსაფრთხოდაც ინახავთ და დანაზოგზე კიდევ ფულიც გემატებათ.

- **თქვენი აზრით, რატომ ამატებს ბანკი ჩვენს დეპოზიტზე თანხას? რატომ გვიხდის ფულს?** *(ბავშვები პასუხობენ)*

იმიტომ, რომ ბანკი ჩვენს ფულს იყენებს იმისათვის, რომ ის სხვებს მისცეს სესხად და მათგან მიიღოს სარგებელი. სწორედ ამ სარგებლის ნაწილს უბრუნებს შემდეგ ანაბრის მფლობელებს.

- **რა არის სესხი?** *(ბავშვები პასუხობენ)*

სესხი - სესხი არის თანხა, რომელსაც ვიღებთ ვალის სახით და ვდებთ პირობას, რომ ამ თანხას შეთანხმებულ ვადაში უკან დავაბრუნებთ. დამატებით კი, მასზე დარიცხულ პროცენტსაც გადავიხდით. პროცენტი არის ის თანხა, რომელსაც ბანკს უხდის მსესხებელი იმისთვის რომ თავისი თანხებით სარგებლობის უფლება მისცა.

სლაიდი 5:

ახლა, მოდი ვისაუბროთ ფულზე.

უძველესი დროიდან, ფული გამოიყენება როგორც დაგროვების, გაცვლის, გადახდის, აღრიცხვისა და საქონლისა და მომსახურების ღირებულების საზომი საშუალება. ტერმინი „ფული” ბანკნოტებს, ანუ ქაღალდის ფულს, და მონეტებს აერთიანებს.

- **თქვენი აზრით, რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ ფული არის გაცვლისა და გადახდის საშუალება?** *(ბავშვები პასუხობენ)*

გაცვლისა და გადახდის საშუალება - ანუ ის, რასაც მყიდველები აძლევენ გამყიდველებს, როდესაც საქონლისა და მომსახურების შეძენა სურთ. ფული არის შუამავალი საქონლისა და მომსახურების გაცვლის პროცესში. როდესაც საკანცელარიო მაღაზიაში შედიხართ კალმის შესაძენად, იცით რომ მაღაზია კალმის სანაცვლოდ თქვენგან ფულს მიიღებს, რადგან ფული ყველასათვის მისაღები გაცვლის საშუალებაა.

- **თქვენი აზრით, რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ, რომ ფული არის ღირებულების საზომი და აღრიცხვის ერთეული?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ფულის ამ ფუნქციას ადამიანები ფასების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის იყენებენ. ფულის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ამა თუ იმ ნივთის ღირებულება გამოვსახოთ. მაგალითად, თუ შოკოლადი 2 ლარი ღირს, ეს ნიშნავს, რომ ამ ოდენობის თანხის გადახდისას, მისი შეძენა

ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ფული განსხვავებული საქონლისა და მომსახურების ფასებისა და ღირებულების შედარების შესაძლებლობას იძლევა.

- **რას ნიშნავს, რომ ფული არის დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება? (ბავშვები პასუხობენ)**

ფულის ეს ფუნქცია საშუალებას გვაძლევს, შევაგროვოთ თანხა სამომავლოდ და დღევანდელი შემოსავალით, ვიყიდოთ მომავალში.

სლაიდი 6:

- **იცით, რა ხდებოდა მანამ, სანამ ფულს გამოიგონებდნენ? როგორ ხდებოდა ყიდვა-გაყიდვა?** *(ბავშვები პასუხობენ)*

დიახ, სანამ ფულს გამოიგონებდნენ, ადამიანები პირდაპირ ცვლიდნენ ერთმანეთში სხვადასხვა ნივთებს, მაგალითად, ზოგ ადამიანს ხორცი სჭირდებოდა, ზოგს - იარაღი. ამ ნივთების ყიდვის ნაცვლად ისინი პირდაპირ ცვლიდნენ მათ ერთმანეთში. და ამ გაცვლას ბარტერი ეწოდება.

- **რა იქნებოდა ბარტერის მთავარი სირთულე?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ბარტერის მთავარი სირთულე სურვილების ორმხრივი დამთხვევა იყო, რადგან ერთ ადამიანს უნდა ჰქონოდა ისეთი რამ, რაც მეორეს სჭირდებოდა და ამავე დროს, მეორე ადამიანს უნდა ჰქონოდა ზუსტად ისეთი რამ, რისი მიღებაც პირველს სურდა. ასევე შესაძლებელია, ამ ნივთების ღირებულება არ დამთხვეოდა ერთმანეთს.

ამ სირთულეების გამო, დროის გასვლასთან ერთად, ბუნებრივად გაჩნდა სასაქონლო ფული. ეს ნიშნავს, რომ ფულის ფუნქციას სხვადასხვა საქონელი, მაგალითად, მარილი, ნიჟარა და სხვა ასრულებდა. ანუ თუ რაიმეს ყიდვა გინდოდა, მასში მარილი უნდა გადაგეხადა. თუმცა, აქაც რთული იყო ღირებულებაზე შეთანხმება. შემდეგ უკვე თანამედროვე ფულიც გაჩნდა.

- **იცით პირველად როგორი ფული დამზადდა - მონეტა თუ ქაღალდის ფული?** *(ბავშვები პასუხობენ)*

სწორი პასუხია მონეტები. ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით VI საუკუნეში ლიდიის სამეფოში მოიჭრა პირველი მონეტა, ხოლო მოგვიანებით ჩინეთში პირველად დამზადდა ქაღალდის ფული

- **იცით კიდევ რა სახით არსებობს ფული?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ფულის განვითარებამ საკმაოდ დიდი გზა განვლო. მისი განვითარება დღესაც გრძელდება ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. ამიტომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის თანამედროვე ფულის ფიზიკურად ანუ როგორც მას ეძახიან ნაღდი სახით ტარების ნაცვლად, საკმაოდ მოსახერხებელია მისი უნაღდო სახით მართვა. ფული, რომელიც ინახება ჩვენს საბანკო ანგარიშებზე, ვმართავთ ბარათების საშუალებით. ამიტომ ბარათებსაც ისევე უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც ფულს - არ ვათხოვოთ არავის და არ გავუზიაროთ ბარათზე დატანილი ინფორმაცია სხვებს.

სლაიდი 7:

მართლაც, როცა ფულზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ მის დაცვასა და უსაფრთხოებაზე.

იმისათვის, რომ ფული საფულედან არ მოგვპარონ ან ჯიბიდან არ ამოგვაცალონ, უნდა დავიცვათ ჩვენი ჯიბე, საფულე, მაგრამ როგორ გავუფრთხილდეთ ფულს, რომელიც ბანკში გვიდევს, თუმცა ბარათით კი ვმართავთ?

- **რა ინფორმაცია არის საბანკო ბარათზე დატანილი?** *(ბავშვები პასუხობენ)*

საბანკო ბარათზე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დატანილი: ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა, უკანა მხარეს კი უსაფრთხოების კოდი. ამ მონაცემების მოპოვებით, სხვა ადამიანს მარტივად შეუძლია ჩვენი ბარათის ფიზიკურად მოპარვის გარეშეც მასზე არსებული თანხა მითვისოს. მაგალითად, ინტერნეტით რაიმეს ყიდვა ჩვენი თანხით. ხომ გახსოვთ, ვთქვით, რომ ბარათი ერთგვარი გასაღებია, რომლითაც ვმართავთ ჩვენს ანგარიშს და მასზე არსებულ თანხას. ისევე, როგორც არ უნდა მივცეთ ჩვენი სახლის გასაღები სხვას, ასევე, უნდა გავუფრთხილდეთ ბარათსაც.

სლაიდი 8:

- **როგორ შეუძლია სხვა ადამიანს ჩვენი ბარათის ინფორმაცია მოიპაროს?** *(ბავშვები პასუხობენ)*
- **გსმენიათ თაღლითობის შემთხვევებზე?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ბარათის მონაცემების მოპარვა შესაძლებელია ბარათისთვის სურათის გადაღებით, ბარათის მონაცემების ჩაწერით ან ამ მონაცემების დამახსოვრებით. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ ბარათს კარგად არ ვინახავთ და ნებისმიერს შეუძლია მისი აღება. ასევე მაშინ, როცა, მაგალითად, მაღაზიაში ან კვების ობიექტში საფასურს ბარათით გადასახდელად სხვას ვატანთ ან ვაძლევთ ჩვენს ბარათს ან ონლაინ რაიმის ყიდვის დროს არასანდო საიტზე შეგვყავს ბარათის მონაცემები.

- **როგორ დავიცვათ საბანკო ბარათი და ჩვენი პირადი მონაცემები?** *(ბავშვები პასუხობენ)*

ამისათვის მნიშვნელოვანია, არავის ვათხოვოთ ბარათი, მაღაზიაში თანხის გადახდისას მოვითხოვოთ პოსტერმინალის მოტანა და თავად გადავიხადოთ, არავის გავანდოთ ბარათზე დატანილი მონაცემები, ონლაინ ყიდვის დროს დავაზუსტოთ საიტის ნამდვილობა/უსაფრთხოება და მხოლოდ ამის შემდეგ შევიყვანოთ ბარათის მონაცემები, ასევე არავის ვუთხრათ ბარათის პინ-კოდი და ბარათით გადარიცხვისას ტელეფონზე მოსული ერთჯერადი კოდი. თუ ვერ ვპოულობთ ბარათს, ან ეჭვი გვაქვს, რომ ბარათის მონაცემები მოპარულია, აუცილებელია ბარათის დაბლოკვა, რადგან თაღლითი მანამ შეძლებს მოპარული ბარათით სარგებლობას, სანამ მას არ დავბლოკავთ. ბარათის დაბლოკვა, როგორც წესი, ინტერნეტბანკით/მობილბანკითაც არის შესაძლებელი.

სლაიდი 9:

ჩვენ გავეცანით ბარათთან დაკავშირებულ თაღლითობას. მოდი, ახლა გავეცნოთ თაღლითობის რამდენიმე სხვა სახეს, იმისთვის რომ უკეთ შევძლოთ თაღლითური სქემების ამოცნობა და ჩვენი ფინანსების დაცვა.

ფიშინგი - ფიშინგი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თაღლითური სქემა. ფიშინგის დროს თაღლითებმა ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელით ან სხვა საშუალებით შეიძლება გამოგვიგზავნოს შეტყობინება ჩვენთვის ნაცნობი ორგანიზაციის მიმსგავსებული მისამართით ან საეჭვო ბმულებით. ასეთი შეტყობინებების მიზანია, გადაგვიყვანონ მავნე ბმულზე, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ ჩვენი ბარათის და პერსონალური ინფორმაციის მოპარვას შეძლებენ. მსგავსი თაღლითობისგან თავის დასაცავად კარგად უნდა დავაკვირდეთ ვისგან არის

გამოგზავნილი შეტყობინება და მოვერიდოთ ბმულებზე გადასვლას. ზოგჯერ ტექსტის საეჭვო და უცნაური ქართულითაა დაწერილი და ესეც ერთ-ერთი ნიშანია, რომლის გამოც გამომგზავნი საეჭვოდ უნდა მიიჩნიოთ

- **აბა დააკვირდით სურათებს, რას ხედავთ მასზე საეჭვოს** *(მივუთითოთ სლაიდზე გამოსახულ სურათებზე, სადაც ერთგან ბმულია მითითებული, მეორეგან კი მიმსგავსებული ფოსტა)*

სლაიდი 10:

ფინანსური პირამიდა - ფინანსური პირამიდა საქმიანობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც კომპანია მაღალი მოგების დაპირებით ან ფულის მარტივად შოვნის დაპირებით იზიდავს მომხმარებებისგან ფულს სხვადასხვა სახით. ამასთანავე სარგებლის მისაღებად სხვა ახალი პირების ჩართვას ელოდება.

ფინანსური პირამიდა მისივე წევრებისგან მოზიდულ სახსრებს, როგორც წესი, მომგებიან ბიზნეს საქმიანობებში კი არ აბანდებს, არამედ ეს თანხა სხვა წევრებისთვის სარგებლის გადასახდელად მიემართება. ამდენად, მომხმარებლისთვის დაპირებული სარგებლის გადახდის ერთადერთი წყარო ახალი წევრებისგან დამატებითი სახსრების მოზიდვაა. ამასთან, ყოველ შემდგომ ეტაპზე არსებული ვალდებულებების გასასტუმრებლად სულ უფრო და უფრო მეტი თანხის მოზიდვა ხდება საჭირო. საყურადღებოა ერთი ფაქტორიც - მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წარმატებული ჩანს ასეთი კომპანია დროის რომელიმე მომენტში, სქემა აუცილებლად იშლება მაშინ, როდესაც შეუძლებელი ხდება ახალი წევრის და/ან დამატებითი თანხის მოზიდვა. შედეგად კომპანია ვეღარ ისტუმრებს წევრების მიმართ არსებულ ვალდებულებებს.

ფინანსური პირამიდის უახლესი მაგალითებია: აპლიკაცია „ბოტასი“, რომელიც მომხმარებლებს ფულის მარტივად შოვნას პირდებოდა, საკმარისი იყო მხოლოდ ტელეფონით ხელში სიარული. გვახსოვდეს, რაც უფრო მიმზიდველი ჩანს მოგება, მით მეტია ფულის დაკარგვის რისკიც.

სლაიდი 11:

დაბოლოს, გახსოვთ გითხარით, რომ ამ კვირას ფულის გლობალური კვირეული აღინიშნება- მეთქი? იცით რა არის ფულის გლობალური კვირეული? რატომ ტარდება ის?

მას მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ყოველწიურად აღნიშნავენ. ფულის კვირეულის მიზანია როგორც ბავშვებში, ისე დიდებშიც ავამაღლოთ ცოდნა ფულთან დაკავშირებული საკითხებისა და პირადი ფინანსების მართვის სარგებლიანობის შესახებ. წელს კი ამ კვირეულის ფარგლებში ფინანსურ უსაფრთხოებაზეც საუბრობენ.

- **სიტყვა დევიზი ან სლოგანი თუ გაგიგიათ?** *(ბავშვები პასუხობენ)*

წლევანდელი კვირეულის დევიზია: ***„დაიცავი შენი ფული, დაიცავი შენი მომავალი“***

მოდი ჯერ ერთად ვნახოთ ფინედუს პატარა ვიდეო[1] ფინანსური თაღლითობის შესახებ

(გაუშვით ვიდეო)2

---

[1] *ვიდეოს ბმული - https://www.youtube.com/watch?v=44D7QfMoFKc - პრეზენტაციიდან გახსნისას მიაქციეთ ყურადღება, რომ ბმული იხსნება slide-show-ს რეჟიმიდან. გარდა ამისა, შესაძლოა გახსნამდე მოგთხოვოთ ბრაუზერზის გახსნის თანხმობა*

[2] *ვიდეო გაუშვით იმ შემთხვევაში თუ ტექნიკურად გექნებათ შესაძლებლობა და გაკვეთილის მსვლელობაც მოგცემთ ამის საშუალებას. თუ ვიდეო ვერ გაუშვით შეკითხვა ასე დაუსვით - რა დაგამახსოვრდათ გაკვეთილიდან?*

- **რა რჩევები დაგამახსოვრდათ ვიდეოდან?** *(უპასუხონ ბავშვებმა)*

თქვენი პასუხებიდან მივხვდი, რომ როცა მითხრეს, ამ კლასში ძალიან ჭკვიანი ბავშვები სწავლობენო, მართლაც ასე ყოფილა!

მადლობას გადაგიხდით, რომ მომიწვიეთ თქვენს კლასში, დაგემშვიდობებით, და წარმატებებს გისურვებთ! *(დაარიგეთ მასალები, გადაიღეთ სურათები)*